ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობა
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
ადმინისტრაციული სამსახური

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის
ბრძანება №04
2020 წლის 19 ნოემბერი
დაბა მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო მოქმედი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის მე-60-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-15 მუხლის, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 11/11/2020 წლის № 241-02 ბრძანების საფუძველზე .

ვბრძანებ:

1.1 შეიქმნას მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა შესარჩევი, საკონკურსო კომისია ვაკანტური თანამდებობების - საფინანსო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახაზინო მომსახურების, შემოსავლების ანალიზისა და კონტროლის განყოფილების III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (ვაკანსია N62515) და სოციალური დაცვის სამსახურის, მე-III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეცილისტის (ვაკანსია N62514) სპეციფიკიდან გამომდინარე შემდეგი შემადგენლობით:

1.2 **ნავერიანი თეიმურაზ - საკონკურსო კომისიის თავჯდომარის მოადგილე:** მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი;

1.3 **ჯაფარიძე ნაირა - კომისიის წევრი:** მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის, II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის,ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების, მე-III რანგის I კატეგორიის უფროსი სპაციალისტი;

1.4 **დევდარიანი თეა - კომისიის წევრი,** სოციალური დაცვის სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი;

1.5 სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლის ონლაინ დასწრებისა და კონკურსის საჯაროობის უზრუნველყოფა დაევალოს - მერიის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების III რანგის III კატეგორიის უფროს სპეციალისტს - **ჯაფარიძე ლაშას.**

1.6 ბრძანების შესახებ ეცნობოთ კომისიის წევრებს.

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი: ქეთევან ხარძიანი